

შპს სსკ-2019

2021 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები	6

შპს სსკ-2019**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2021-ს თარიღისთვის****ფინანსური მდგომარეობა**

		ლარი		
ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		54	147 365	246 308
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		186 734	124 414	127 107
მარაგები		156 571	0	0
ძირითადი საშუალებები	3	1 041	0	0
სულ აქტივები		344 400	271 779	373 415
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		0	61 572	74 572
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		0	8 675	61 289
საგადასახადო ვალდებულებები		10 388	6 437	48 561
სხვა ვალდებულებები		190	5 483	1 002
სულ ვალდებულებები		10 578	82 167	185 424
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		333 822	189 612	187 991
სულ საკუთარი კაპიტალი		333 822	189 612	187 991
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		344 400	271 779	373 415
სულ მოკლევადიანი აქტივები		343 359	271 779	373 415
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		10 578	82 167	185 424

დირექტორი:


ზურაბ ღუნდუა

შპს სსკ-2019**მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2020 - 31.12.2021 პერიოდისათვის****საქმიანობის შედეგები**

საქმიანობის შედეგები	შენიშვნა	ლარი	
		31/12/2021	31/12/2020
ნეტო ამონაგები	4	2 451 171	3 849 093
მომსახურების გაწევიდან		2 451 171	3 849 093
საერთო მოგება		2 451 171	3 849 093
დასაქმებულთა ანაზღაურება		-456 022	-559 740
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	5	-1 192 443	-2 178 949
სულ საოპერაციო ხარჯები		-1 648 465	-2 738 689
საოპერაციო მოგება		802 706	1 110 404
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		189 612	187 991
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-658 496	-1 108 783
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		333 822	189 612

დირექტორი:


ზურაბ ღუნდუა

შპს სსკ-2019**კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2020-31.12.2021 პერიოდისთვის**

	ლარი	
	31.12.2021	31.12.2020
გაუნაწილებელი მოგება		
საწყისი ნაშთი	189 612	187 991
პერიოდის მოგება	802 706	1 110 404
დივიდენდი	-658 496	-1 108 783
საბოლოო ნაშთი	333 822	189 612
სულ კაპიტალი	333 822	189 612

დირექტორი:


ზურაბ ღუნდუა

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული პერიოდისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს სსკ-2019 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 02/09/2019). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქობულეთის რაიონი, ს. ქვედა კვირიკე, მე-15 I ჩიხი N3

კომპანიის ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს სარემონტო სამშენებლო მომსახურებას. კომპანიის წილის 100%-ს ფლობს ლერი ქაჯაია, 62002007213 დირექტორი ზურაბ ღუნდუა, 61003003073.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, საანგარიშგებო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს და მოიცავს პერიოდს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით.

ამონაგების აღიარება

ამონაგები აღიარდება დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის/მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

კომპანია ამონაგებს აღიარებს სახელმეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე "კონტროლი" მომხმარებელს გადაეცემა

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

2017 წლის 01 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება დარჩევა კომპანიაში მოგების სახით, ხოლო 15%

დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როდესაც ძველი მოდელის კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად,

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულების ან წმინდა სარეალიზაციო ღირებულებიდან უმცირესით. მარაგების ღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს მარაგების შეძენის, ადგილზე მიტანის და გამოყენებისთვის საჭირო მდგომარეობის მოყვანის ხარჯებს.

გაყიდული სასაქონლო-მატერიალური მარაგების საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელშიც აღიარდება შესაბამისი რეალიზაცია. მარაგების ხარჯად აღიარებისთვის გამოიყენება პერიოდული აღრიცხვის მეთოდი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა.

როდესაც ძირითადი საშუალებების ერთეულები მოიცავენ ძირითად კომპონენტებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადით, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალებების ცალკე ერთეულებად.

ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით და აისახება მოგება-ზარალში.

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერ მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს, ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება შედის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშზე

მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგება მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი ავანსებისა და დებიტორული დავალიანებისგან

ავანსები

ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით. აქტივების ყიდვაზე გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის დამყარების შემდგომ და თუ მოსალოდნელია, რომ მასთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელს მიიღებს კომპანია. სხვა ავანსები ჩამოიწერება მოგება-ზარალში მათთან დაკავშირებული საქონლის და მომსახურების მიღების შემდეგ. თუ არის იმის ნიშნები, რომ ავანსთან დაკავშირებული აქტივების, საქონლისა თუ მომსახურებების მიღება ვერ მოხერხდება, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება, ხოლო წლის მოგება-ზარალში აღიარდება შესაბამისი გაუფასურების ზარალი.

თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

3. ძირითადი საშუალებები

ძირითად საშუალებებად ირიცხება მხოლოდ საოფისე ტექნიკა.

4. ამონაგები

ამონაგები მიღებულია შესრულებული სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების გაწევით.

5. ადმინისტრაციული და სვა საოპერაციო ხარჯი

	ლარი	
ადმინისტრაციული და სვა საოპერაციო ხარჯი	2020	2021
ცვეთა	0	-1 534
ბანკის მომსახურება	-2 121	-2 551
იურიდიული და გაფორმების ხარჯები	-9 140	0
იჯარა	0	-11 480
კომუნალური გადასახადები	-64	0
მასალა	-1 410 392	-756 999
მომსახურება (სპეც. ტექნიკა)	-60 177	-28 136
საბუღალტრო ხარჯი	-1 417	-1 690
საკანცელარიო ხარჯი	-321	0
სამუშაოები	-684 216	-382 862
საპენსიო ფონდი	-11 101	-7 186
ქონების გადასახადი	0	-5
სულ	-2 178 949	-1 192 443

6. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე კომპანიაში ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.

7. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2022 წლის 15 ივნისს.

დირექტორი:




ზურაბ ღუნდუა